საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მელოდია (ხმის ჩამწერი ფირმა)

მელოდია, საბჭოთა საკავშირო ხმის ჩამწერი ფირმა "მელოდია" დაარსდა 1964. აერთიანებდა გრამფირფიტების ფაბრიკებს და ხმის ჩამწერ სტუდიებს, რ-ებიც საბჭ. პერიოდში ჩანაწერების შენახვა-გავრცელებას ემსახურებოდა. 1966-იდან თბილისში გაიხსნა ხმის ჩამწერი სტუდია, სადაც ფუნქციონირებდა საკონცერტო და სარეპეტიციო დარბაზები, მცირე ფორმის ნაწარმოებებისა და მხატვრული კითხვისათვის სპეცტექნიკით აღჭურვილი მოსასმენი ოთახები. სტუდიაში მუშაობდნენ პროფესიონალი ხმის რეჟისორები: მ. შ. მ. კილასონიძე, გ. გვიშიანი, ხ. მამედოვი, დ. დემუროვი. მ-ის სტუდიაში ჩაწერილია *გ. ყანჩელის* სიმფონიები (დირიჟორი *ჯ. კახიძე*), *ლ. ისაკაძის* კამერული ორკესტრის მიერ შესრულებული ნაწარმოებები, საგუნდო მუსიკა და სხვ., რ-ებიც გამოირჩეოდა მაღალი ხარისხით. მ. კილასონიძის ნამუშევრები მიჩნეულია საუკეთესო ჩანაწერებად.

ლიტ.: А р а н о в с к и й М. Г., Синтаксическая структура мелодии, М., 1991; Боганова Т., О мелодии, 1960; М а з е л ь Л. А., О мелодии, М.,1952; С л о н и м с к и й С., Мелодика, М., 2018.